


მარი კომოვკი

ოზურგეთში შუალედური არჩევნები 22 მაისს გაიმართება. კანონმდებლობის შესაბამისად, არჩევნები, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატებისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო დაინიშნა. № 60 საარჩევნო ოლქში არჩევნები ოთხ უბანზე ჩატარდება. ქალაქ ოზურგეთის №6 პირველ და №7 ცენტრის მეორე საარჩევნო უბნებზე ქალაქის საკრებულოს დეპუტატი უნდა აირჩიონ, ხოლო ნასაკირალის №16 პირველ და №59 მეორე საარჩევნო უბნებზე – თემების მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი. არჩევნებისთვის მზადება აქტიურ ფაზაშია. ამ მხრივ „ქართული ოცნება“ და „ნაციონალები“ გამოირჩევიან. რამდენიმე სუბიექტი არჩევნებში



დავით დარჩია („ქართული ოცნება“): – „აქტიურად ვემზადებით არჩევნებისთვის. დანამდვილებით შეიძლება ითქვას,


რომ „ქართული ოცნების“ კანდიდატების გამარჯვება გარდაუვალია, ამაში ღრმად ვარდარწმუნებული. ამისთვის სერიოზულად მუშაობს პარტია ქართული ოცნება, ყველა აქტივისტი. ჩვენი მიზანია მოვივლით დიდი უპირატესობით. გაირდება შუალედური არჩევნებით დავადასტურებთ ჩვენს უპირატესობას ნებისმიერ სხვა პოლიტიკურ ძალასთან შედარებით. ეს „ენდიას“ კვლევების გამოხმაურებაც იქნება. კვლევებისა, რომლებიც სიმართლესთან ახლოს არ არის. გამორჩენდება, რომ „ქართულ ოცნებას“ გაცილებით მეტი უჭერს მხარს, ვიდრე კვლევები „ამბობენ“.

დაბა ნასაკირალში ჩვენი კანდიდატი იქნება ქალბატონი

ნონა ტუნაძე, პროფესიით პედაგოგი. რა თქმა უნდა, ვაფასებთ იმას, რომ ნასაკირალში ჩვენი კონკურენტი სერიოზულია, ასე რომ ვთქვათ, „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა ბესიკ ქათამაძე, ნასაკირალში შექმნილი გვაქვს საარჩევნო შტაბი, რომელშიც ორმოცამდე ადამიანი გაერთიანებული. რაც შეეხება ქალაქს, ჩვენი კანდიდატი ვასილ ჩიგოგიძეა, რომელსაც ოზურგეთელები კარგად იცნობენ. ქალაქის შტაბიც და შტაბის უფროსი გიორგი ღურჯუაშვილი ძალიან სერიოზულად მუშაობს რომ შედეგი დადგეს.“

ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო სამზადისს ჩვენც შევესწარით. მათ ოფისში იმ დროს მოვიწვია მისვლა, როცა

მორიგი შეხვედრისთვის ემზადებოდნენ.



დავით მგვანაძე („ნაციონალური მოძრაობა“): – „დარწმუნებულები ვართ, რომ ამ არჩევნებს დამაჯერებლად მოვიგებთ. ეს ჩანს გამოკითხვებში, კვლევებში, რომლებიც დაიდო.

ამაზე მეტყველებს არა მარტო მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული კვლევები, არამედ საზოგადოების დამოკიდებულებაც იმ კონკრეტულ უბნებზე, სადაც ტარდება შუალედური არჩევნები. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ რომ მოვიგებთ არჩევნებს. რაც შეეხება სამზადისს, ისეთ დროს მოვიწვიათ მოსვლა, რომ თქვენ თვითონ წინასაარჩევნო კამპანიის შიდა სამზადისს შეესწარი. დიდი შეხვედრის მომსწრე ვასდით. ველოდებით სტუმრებს, რომლებიც შეხვედრიან ჩვენს კოორდინატორებს.

კანდიდატებთან დაკავშირებით გეგმავთ, რომ ძალიან ღირსეული კანდიდატი გვყავს



კ ლ ი ო ნ ი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო ვ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გა ზ ე თ ი .

ქოველკვირეული ბაზოშვება. №16 (10157), 18 აპრილი, 2016 წ. შახი 50 თეთრი.

ბაზეთი ბაზოშვის
1931 წლის
5 იანვრიდან

როდის გამოიღვიძებს გაგებელი?

ალეონი. სოფელ ნატანებში ჩატარებული რამდენიმე მთავარი სამუშაოების მიუხედავად, დაბა ისევ მივიწყებული სოფლის სტატუსს ატარებს. სამი პრობლემა, რომლებიც მუდამ აქვს ამ დიდ სოფელს, ისევ გადასაჭრელია: გაზი, წყალი, გზა. მძღოლებს დიდი დაბრკოლებები ხვდებათ გზაზე იმ ორმოების სახით, რომელთა ამოსავსებადაც გამგეობას "ზრეში" დაენანა. ეტყობა არ ანსოვთ, რომ ფოტოზე ნატანების ორი მთავარი უბნის დამაკავშირებელი გზაა. მაგრამ გამგებელი პირობას იძლევა რომ ეს პრობლემა (სხვა მრავალთან ერთად) თვის ბოლოს გადაიჭრება. თუმცა აგერ უკვე 6 თვეა არცერთ პრობლემას არ ეშველა. თვის ბოლოს კი ხალხი იოტისოდენა იმედით გაჰყურებს გზას და სჯერათ რომ გამგებელი გამოლვიძებს. წყლის პრობლემა მოგვარდა, მაგრამ მხოლოდ იმ მოსახ-

ლეობისათვის, რომლებიც ზემოთხსენებული გამგებლის ახლობლები, მეზობლები არიან. ნატანების მოსახლეობის 74% ჭებთა და ჭაბურღილებით იმარაგებს წყალს. ეს პრობლემა, როგორც ყველა სხვა, თვის ბოლოს გვარდება, მაგრამ არა სინამდვილეში, არამედ ხალხის ოცნებებში და გამგებლის ტკბილ სიზმრებში, სადაც ხალხი მის კერძს თაყვანს სცემს. რაც შეეხება გაზს, გაზიც ზუსტად იგივე მდგომარეობაშია, როგორშიც წყალი – დაწყებული და შეჩერებული. როდის გამოლვიძებს ილო თოიძე და როდის შეცვლის ყველა კითხვაზე თვის პასუხს „თვის ბოლოს გაკეთდება?“ როდის ეღირსება ხალხს ბუნებრივი აირით გამთბარ სახლში ნორმალური გზით მისვლა და ონკანის წყლის დაღვევა? ამ კითხვებზე პასუხი ვერაფერია.



ჩამოვტა

ყველა საბიუჯეტო მაჩვენებლით უსრულებულ ბიუჯეტზე აქვთ შენიშვნებიც და რეკომენდაციებიც

ამონარიდები გაერთიანებული სხდომის მონაწილე კომისიებისა და ფრაქციების მიერ გაკეთებული დასკვნებიდან



ალეონი. გაერთიანებული სხდომის მონაწილე კომისიებისა და ფრაქციების (საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, სივრცითი ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის კომისია, ფრაქცია „ქართული ოცნება“ – დემოკრატიული საქართველო) დასკვნით, ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი ყველა ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრის მიხედვით შესრულებულია: შემოსავლების ნაწილში დაზუსტებული ბიუჯეტი 98,6%-ით შესრულდა. შესაბამისად 2016 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთი დაფიქსირდა 1365,3 ათასი ლარის ოდენობით.

ბიუჯეტის საერთო შემოსავლების 3 შემადგენელი ნაწილი – ქონების გადასახადი, გრანტები და სხვა შემოსავლები ყველა ძირითადი პოზიციის მიხედვით გადაჭარბებით არის შესრულებული.

2015 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულებისა და ბიუჯეტის ხარჯების გეგმის ნაწილში შესაბამისად შეადგინა 89,2%-ს და 97%-ს. ვერ შესრულდა

არაფინანსური აქტივების ზრდა და მან დაზუსტებული გეგმის მხოლოდ 79% შეადგინა. ეს გამოწვეულია გარდამავალი ინფრასტრუქტურული სამუშაოები და ნაწილობრივ ტენდერში გამარჯვებული კომპანიების მიერ ცალკეული ობიექტების არათავისდროულად ჩაბარების მიზეზით...

ქალაქის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები ძირითადად ათვისებულია. თანხების სრული მოცულობით ათვისებლობა ზოგიერთი მუხლის მი-

ხედვით, როგორებიცაა „საქონელი და მომსახურება“ (8 ათასი ლარი), „შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება (1,5 ათასი ლარი), „ოფისის ხარჯები“ (1,0 ათასი ლარი) გამოწვეულია აღნიშნული მუხლების დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრების ხარჯვაში მიღწეული კონომიით.

სარეზერვო ფონდის გეგმით განსაზღვრული 140 ათასი ლარიდან საანგარიშო წელს ათვისებულ იქნა 125,2 ათასი ლარი. გამოყენებული სარეზერვო ფონდის 58%-ზე მეტი შეჭირვებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამის განხორციელებას მოხმარდა, 17,5% – ბინათმშენებლობას, ზოგადი განათლების ხელშეწყობაზე მიმართა 17,7 ათასი ლარი, ანუ 14,4%, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარებაზე დაიხარჯა 12,0 ათასი ლარი, ანუ 9,6%.

წლიურ ანგარიშში ვრცელად და დეტალურად არის აღწერილი ქალაქის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების შედეგად მიღწეული საბიუჯეტო შედეგები და



ყველა საბიუჯეტო მაჩვენებლით შესრულებულ ბიუჯეტზე აქვთ შენიშვნებიც და რეკომენდაციებიც

ამონარიდები გამართიანებული სხდომის მონაწილე კომისიებისა და ფრაქციების მიერ გაკეთებული დასკვნებიდან



ამ შედეგების შეფასების ინდიკატორები.

ნათლად იკვეთება საბიუჯეტო რესურსების მართვისა და გამოყენების რაციონალური ორგანიზების ტენდენციები. ამას კარგად ადასტურებს 2015 წელს განხორციელებული საკმაოდ მასშტაბური პროექტებისა და შესრულებული სამუშაოების მრავალფეროვნება. შედეგად, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, საბიუჯეტო

სახსრების დანახარჯი 150%-ით გაიზარდა, 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით და ასოლუტურ სიდიდეში 700 ლარს გადააჭარბა.

2015 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვამ დაადასტურა საბიუჯეტო პროცესების მართვის ყველა მარეგულირებელი ნორმის და ნორმატივის, განსაკუთრებით საბიუჯეტო კოდექსის

მოთხოვნების ზედმიწევნით ზუსტად დაცვის ფაქტი.

გაერთიანებული სხდომის მონაწილე კომისიებსა და ფრაქციებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშთან მიმართებაში აქვს გარკვეული შენიშვნები და რეკომენდაციები:

ანგარიშში არ არის ასახული საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა. აღნიშნული ქვეპუნქტის შესაბამისად ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში არ არის ასახული ინფორმაცია „წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერის და მიღწეული შედეგების ფაქტობრივი მაჩვენებლების შესახებ“. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის მოცემული განმარტებები დასახულ და მიღწეულ საბიუჯეტო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე. ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების გვერდითი განწერის, დაზუსტებული და ფაქტობრივად შესრულების ურთიერთშედარების მაჩვენებლების სრულყოფილად ასახვა ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში კი უფრო ნათლად წარმოაჩენდა ბიუჯეტში ფინანსური რესურსების მობილიზების ფაქტობრივი მდგომარეობისა და გვერდითი მაჩვენებლების საგან რეალური გადახრების გამოწვევებს მიზეზებს.

ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების განხორციელების შედეგად მიღწეული საბიუჯეტო შედეგებისა და ამ შედეგების შეფასების ინდიკატორები ვერ იძლევა საშუალებას რეალურად შეფასდეს პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანობა. უმეტეს შემთხვევაში ერთმანეთში არეული პროგრამების/ქვეპროგრამების განხორციელების შედეგად მიღწეული საბიუჯეტო შედეგების მაჩვენებლები და შეფასების ინდიკატორები. უფრო მეტიც, არც თუ იშვიათად პროგრამის/ქვეპროგრამის განხორციელების ეფექტურობის ზემოთ აღნიშნული ორივე მაჩვენებელი ერთმანეთის იდენტურ ზომებშია მოცემული, განსხვავება მათ შორის მხოლოდ ის არის, რომ პირველ შემთხვევაში ის ჩამოიღობა სახით არის

წარმოდგენილი, მეორე შემთხვევაში კი – ვაჭურად.

წლიური ანგარიშიდან ჩანს, რომ სარეველო ფონდიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვის თითქმის 85% სოციალური მიმართულების პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსებაზე მიმართული. ერთობლივი სხდომის მონაწილე კომისიებსა და ფრაქციებს კანონზომიერად მიაჩნიათ ზემოთ დასახლებული სოციალური მიმართულების პროგრამებისა და ღონისძიებების დასაფინანსებლად მომავალში გამოყოფილი თანხების ოდენობის ოპტიმიზაცია, ხოლო სარეველო ფონდიდან აღნიშნული მიმართულებით სხვადასხვა სახის დახმარების გაცემის მასშტაბების შემცირება.

დაფიქსირებული შენიშვნები ეკვივს ქვემოთ არააყენებს საბიუჯეტო სახსრების გამოყენების მიზნობრიობას და მნიშვნელოვანწილად ვერ ახდენს გავლენას 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში ასახულ ფინანსურ მაჩვენებლებზე ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების მიხედვით.

ოპოზიციის უზალდური არჩევნებისთვის ემზადებიან

ნასაკირალში ბესიკ ქათამაძე. ქალაქთან დაკავშირებით რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი. ამ ეტაპზე მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია, რომ ის იქნება ღირსეული."



შოთა გოგიბერიძე (პატრიოტთა ალიანსი): – „გადაწყვეტილი გვაქვს შუალედურ არჩევნებში არ ჩავერთოთ, რადგან ვთვლით, რომ ჩვენი მზადება საპარლამენტო არჩევნებისთვის გაცილებით მნიშვნელოვანი საქმეა. თვითმმართველობის თემა წარმატებით გავიარეთ

2014 წელს, როდესაც „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ რეგიონში მეორე ადგილი დაიკავა და დაფიქსირდა, როგორც ძირითადი ოპოზიციური ძალა. ამ ეტაპზე მილიანად ჩვენი საორგანიზაციო, საკადრო და მატერიალური რესურსები მიმართულია სწორედ საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადებისაკენ."

შოთა გოგიბერიძე საჩვენო გარემოში იხსობა:

„ამჟამად არსებულ საარჩევნო გარემოს ჩვენ ვაფასებთ უარყოფითად, რასთან დაკავშირებითაც „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩაატარა ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები. დააყენა ძალიან მნიშვნელოვანი მოთხოვნები, რაც ამჟამად ინტერპარტიულ ფორმატში განხილვება ხელისუფლებასთან. მიგვაჩნია, რომ საარჩევნო გარემო ძალიან რთულ პირობებს ქმნის, არ არის დემოკრატიული. ჩვენ ვაყენებთ საკითხს აღმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან,



გაკეთეს".

თებერ სალუქვაძე („თავისუფალი დემოკრატები“): – „თავისუფალი დემო-

კრატების" ოპოზიციის რაიონული ორგანიზაციის მიმდინარე პოლიტიკურ სტრატეგიაში არ შედის შუალედურ არჩევნებში მონაწილეობა. ვეძვარებით საპარლამენტო არჩევნებისთვის."

დავით მამალაძე (ლეიბორისტული პარტია): – „შუალედურ არჩევნებს ლეიბორისტული პარტია ოპოზიციის ბიოკოსტს უცხადებს. ეს არჩევნები არ არის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ჩვენთვის. ამასთან ერთად გარდაგვეცვალა მეგობარი, გონა მეგლაძე. სოლიდარობას ვუცხადებ ოპოზიციურ კანდიდატს, არც ვინცნობ, მაგრამ ვინც იქნება. ძალიან დიდ პატივს ვცემ ოცნების კანდიდატს ვასილ ჩიგოვიძეს მაგრამ ახალგაზრდა ვაჟაკი კაცი აქციეს კრიმინალური გუნდის წევრად, რომელსაც „ქართული ოცნება“ ჰქვია. ეს პოლიტიკური პარტია არაა, დაუგუფება მატერიალური ანაზღაურებისთვის. ესაა ბანდა, რომელიც მარცხავს მო-



სახეობას და ამ ბანდის წევრი გახდა ვასილ ჩიგოვიძე. კაი კაცია შეიძლება ვასილ ჩიგოვიძე მაგრამ... ისევე შეიძლება ელიტის მოსყიდვა შავი ფული. გაყალბება არ ხდება მხოლოდ არჩევნების დღეს. პროცესი უკვე დაიწყო. შავი ფულით ფინანსდება სატელიტური პოლიტიკური პარტიები. ქართველ ხალხს აქვს ორი არჩევანი: ერთ ნაპირზეა ლეიბორისტული პარტია, მეორეზე – სხვა დანარჩენი."

ოპოზიციის მუნიციპალიტეტმა 374 000- ევროიანი ბრანტი მიიღო



ოპოზიციის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტმა „მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისთვის“ ევროკავშირის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გაიმარჯვა. პროექტის ფარგლებში, ოპოზიციის მუნიციპალიტეტი წარ-

მოადგენს კოორდინატორს, თანაბნეფიციარს და პროექტით გათვალისწინებული გრანტის მიმღებს. იგი უზრუნველყოფს პროექტის ზოგად და ფინანსურ მართვას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი ქალაქი ოპოზიციის წარმომადგენელ თანაბნეფიციარებს, რომლებიც განხორციელებენ პროექტის გათვალისწინებულ აქტივობებს. პროექტში ასევე ჩართულია ორი არასამთავრობო ორგანიზაცია- სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი და ასალგაზრდა მეცნიერთა კლუბი. ისინი, როგორც პარტნიორი ორგანიზაციები, უზრუნველყოფენ პროექტის მართვას და ფასილიტაციას. პროექტის

გუნდი საერთო პრინციპებზე დაყრდნობით, ერთიანი ძალებით იმუშავებს გურიის ტურიზმის განვითარებაზე.

პროექტი სამ წელზეა გათვლილი. მოხდება ადგილობრივი ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრებისა, კულტურული მემკვიდრეობისა და ტურისტული პოტენციალის გამოკვლევა. შეიქმნება გეგმა, რომლითაც იხელმძღვანელებენ ტურისტული დირექციის მუშაობის და ინფრასტრუქტურის შექმნა-გაუმჯობესების პროცესში.

პროექტის პრეზენტაცია 11 აპრილს გურიის გუბერნიამ გაიმართა. შეხვედრას გურიის გუბერნატორი ვა სალუქვაძე, გუბერნატორის მოად-

გილეები, გურიის მუნიციპალიტეტების პირველი პირები, პროექტის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ტურიზმის განვითარების განყოფილების თანამშრომლები ესწრებოდნენ. მოხდა სამეთვალყურეო საბჭოს ფორმირება. საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ოპოზიციის მუნიციპალიტეტის გამგებელი – მერაბ ჭანუყვაძე, პროექტის დირექტორად საკრებულოს აპარატის უფროსი – ნანა თავლევაძე.

„ეფექტობ ეს პროექტი გურიის დასაბამს მისცემს როგორც ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურად წარმოჩენას, ასევე შედეგად უკვე ტურისტების მოზიდვას“, – აღნიშნა ვა სალუქვაძე.

სცენაზეა გაპრემიერებული „გამარჯობა, ხალხო“



ალიონი. ოზურგეთის ალ. წუწუნას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრის ხშირად ნოდარ ღუმბაძის თეატრად მოიხსენიებენ და არც თუ უსაფუძვლოდ. გურულების ერთადერთი პროფესიული თეატრის მთელი დასი ღუმბაძის შედეგების ინსცენირებისა და მისი გმირების განსახიერებისას, ისე გრძობენ თავს, როგორც თვეში წყალში. მაყურებელსაც სულში აქვს გაბეჭდარი ყველაზე მშობლიური მწერლის შემოქმედება და ყოველთვის აბლოდინებენ ხვდება თეატრი? მიერ შეთავაზებულ ახალ-ახალ ინტერპრეტაციებს. ასე იყო 13 აპრილსაც, როდესაც მაყურებელმა გაპრემიერებული „გამარჯობა, ხალხო“ იხილა. ეს ის სპექტაკლია, რომელიც

აქ ოზურგეთში, ხალხი ასეთი კმაყოფილი და ბედნიერი გადის თეატრიდან.

შესანიშნავი წარმოდგენა დადგა ვასო ჩიგოგიძემ, პლასტიური, საინტერესო, მაღალი კულტურით და ა.შ. ეს არის მნიშვნელოვანი ნაწარმოები, საერთოდ, დღევანდელი თეატრის ყოფაში.“

გომარ სინარულიძე: „ – დღეს ბედნიერი ვარ ამ წარმატებული სპექტაკლის და საერთოდ ვასო ჩიგოგიძის საქმიანობის გამო აქ თუ უცხოეთში. დასით კმაყოფილი ვარ, როგორც მუსიკოსი, მოულოდნელად კარგი იყო სახასიათო როლების შესრულება – მურადა, თხა, ფაქიზო... არცერთ სპექტაკლში არ მინახავს სხვაგან ასეთი რამ. ცხოვრობდა ერთად დარბაზი და სცენა. ერთი ჭირი, ერთი ღზინი ეს ყველას გვჭირდება. არა მარტო დარბაზი და სცენა, მთელი საქართველო ერთად უნდა ვიყოთ.“

თაობიდან თაობას გადაეცემა და უთუოდ მისასაღებელია, რომ თეატრის ხელმძღვანელობამ მსახიობების მთელ პლადას მისცა შესაძლებლობა შემოქმედებითად ყოველდღიურად დაღვივრთულ სცენაზე იცხოვრონ ღუმბაძის უკვდავი გმირების ცხოვრებით.

გაპრემიერებულ სპექტაკლს ესწრებოდნენ ბატონები – პროფესორი, რეჟისორი **გიზო ჟორდანი** და პროფესორი, კომპოზიტორი **გომარ სინარულიძე**.

გიზო ჟორდანი: „ – ძალიან დიდი სიხარული მაქვს დღეს, ვერ ერთი იმიტომ, რომ შედგა კონტაქტი, რომელიც საჭიროა თეატრსა და მაყურებელს შორის, შედგა დღეს. ერთი პაერთი ვსუნთქავთ სცენაზე და პარტერში. ეს დიდი ბედნიერებაა, რომ



ანსამბლმა „დილა“ გრან-პრი მიიღო

ალიონი ქალაქ ოზურგეთის კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრთან არსებულმა ანსამბლმა „დილა“, ქალაქ ბათუმში გამართულ რესპუბლიკურ ფესტივალზე „გაზაფხული შემოსულა ღენ..“ გრან-პრი მიიღო. ეს მეორე გრან-პრია ანსამბლის ისტორიაში.

– ანსამბლი „დილა“ ორი წლის წინ შეიქმნა. მას გიორგი მთაწმიდელის სახელობის სიმღერისა და

გალობის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ლაშა ჩხარტიშვილი ჩაუდგა სათავეში. ანსამბლში 36 ვაჟია გაერთიანებული და მოკლე დროში საკმაოდ კარგ წარმატებებს მიაღწიეს – გვითხრა ცენტრის დირექტორმა **კობა ბანძელაძემ**.

ლაშა ჩხარტიშვილმა ხალხური სიმღერის მაღალს მიხეილ შავიშვილის „კრიმანჭულში“ ეზიარა. შემდეგ ტრისტან სინარულიძესთან სა-

ლოტბარო სკოლაში სწავლობდა, გიორგი მთაწმიდელის სახელობის უნივერსიტეტში. ორი წლის წინ კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრთან საგალობლების სტუდია შეიქმნა, სადაც საეკლესიო გალობის ისტორიას, მუსიკის ელემენტარულ თეორიას და სოლოფეჯიოს პედაგოგი **მარინა მეღვინა** ასწავლის; ქართულ საეკლესიო გალობას – **ლაშა ჩხარტიშვილი**, ხოლო მეღვივითობას – **მამა ზაქარია (ინწკირველი)**.

ანსამბლ „დილა“ წარმატებებზე ლაშა ჩხარტიშვილი გვიყვება: – შარშან გიორგი სალუქვაძის სახელობის საერთაშორისო ფესტივალზე პირველი გრან-პრი დავიმსახურეთ; შარშანვე ქალაქ თბილისში გამართულ ბავშვთა ახალგაზრდა საგუნდო კოლექტივების რესპუბლიკურ ფესტივალზე (187 კოლექტივი გამოდიოდა) პირველი ადგილი დავიკავეთ. ასევე წარმატებულად გამოვედი არტ-გენზე, ქალაქ ქუთაისში, სამტრედიამი და ქობულეთში გამართულ სხვადასხვა ფესტივალზე. წელს ანსამბლის შექმნიდან ორი წლისთავი აღინიშნეს. კულტურის ცენტრმა ანსამბლის წევრებს ფორმები შეუკერა, ეხმარება ტრანსპორტირებაში...უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ ბათუმში ამ ცენტრთან არსებულმა თანამედროვე ციკვების სტუდიამ (ხელმძღვანელი **მელანო დარჩია**) მეორე ადგილი აიღო. წარმატებები მომავალ თაობას.



ფერთა სივონია სამხატვრო ბაღემაში

ბურიის მხატვართა კავშირის V საგაზაფხულო გამოფენაზე



12 აპრილს ქალაქ ოზურგეთის მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის საექსპოზიციო დარბაზი მასპინძლობდა, ბურიის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის მიერ ორგანიზებული, მეხუთე საგაზაფხულო გამოფენას.

ბურიის რეგიონის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე ბატონმა თამარ დარჩიამ აღნიშნა, რომ ეს პირველი საოუბრო თარიღია. და მხატვრები მას თვისობრივად ახალი ნამუშევრებით ხვდებიან.

ექსპოზიციამ მონაწილეობა მიიღო ოცდაათამ ავტორმა ასამდე ნამუშევრით. წარმოდგენილია სახვითი ხელოვნების დარგები: ფერწერა, გრაფიკა, დეკორატიული ხელოვნება. გამოფენა გამოირჩევა უანრობივით მრავალფეროვნებითაც. დამთავრებულია ყურადღებას იქცევს საინტერესო ნატურმორტები, პეიზაჟები,

და წინსვლისათვის. გამოფენის სახეობა განსნას დაესწრო ბურიის გუბერნატორი **გ. სალუქვაძე**, ბურიის გუბერნატორის მოადგილე **ს. ერქომაიშვილი**. ქალაქ ოზურგეთის მერი **ბ. სიორიძე**, ქ. ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე **გ. კობალაძე**, ოზურგეთის რაიონული საკრებულოს თავმჯდომარე **დ. დარჩია**, მთა აღინიშნეს ამ გამოფენის განსაკუთრებული მნიშვნელობა რეგიონის კულტურულ ცხოვრებაში, კავშირების კიდევ უფრო გაფართოების საჭიროება, რათა საქართველოს სხვა კუთხეებშიც გაიკვირონ ჩვენი მხატვრების შემოქმედება.

როგორც, ბატონმა თამარ დარჩიამ განაცხადა საგაზაფხულო და სამუშაო-გამო გამოფენები სწრაფ გაგრძელებას და კიდევ უფრო მეტ შემოქმედ ადამიანს გაერთიანებს. ამ დღი საქმის წისვლისა და ხელშეწყობის მიზნით მერაბ ბერძენიშვილის სახ-



თემატური კომპოზიციები და პორტრეტები. ასეთი ვაგუფური გამოფენები ხელს უწყობს შემოქმედებითი კავშირის გაძლიერებას, აღრმავებს ურთიერთობებს მხატვრებს შორის, აძლევს მათ სტიმულს მომავალი შემოქმედებითი ძიებების

ვლობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი გვერდით უდგას შემოქმედებითი კავშირის და ამით წვლილი შეუქვს დარგის განვითარების საქმეში. **ლია ურუშაძე** ხელოვნებათმცოდნე

ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2“ ვთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჯე) სადილო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველად შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადაანწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცედენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ. № 11ა.

მზი, +6+19 18 აპრილი ორშაბათი	მზი, ღრუბლი +9+19 19 აპრილი სამშაბათი	მზი, ღრუბლი +8+16 20 აპრილი ოთხშაბათი	წვიმა, +5+17 21 აპრილი ხუთშაბათი	წვიმა, +7+10 22 აპრილი პარასკევი	მზი, ღრუბლი +14+21 23 აპრილი შაბათი	წვიმა, +12+15 24 აპრილი კვირა
----------------------------------	------------------------------------------	------------------------------------------	-------------------------------------	-------------------------------------	----------------------------------------	----------------------------------

7 დღის აინდის პროგნოზი